პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საექთნო განათლება

მარნეული
2019

პროფესიული პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის №407/ი ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 16 აპრილს ბრძ. №274/ი) საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული პროგრამა დამტკიცებულია შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით

პროგრამაში შევიდა ცვლილება შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2019 წლის 4 ოქტომბრის N40 ბრძანებით

პროგრამაში შევიდა ცვლილება შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2020 წლის 20 თებერვლის N8 ბრძანებით

პროგრამაში შევიდა ცვლილება შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2020 წლის 24 თებერვლის N9 ბრძანებით

პროგრამის ხელმძღვანელი -- თამარ ალავიძე

<u>ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ</u>

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საექთნო განათლება / Nursing
2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი** 0913
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**
   „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing.";

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე", კოდი 0913, აღმწერი - *"შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის."*

4. **მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

5. **დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება
6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

7. **სტრუქტურა და მოდულები**

იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელთაც უდასტურდება ქართული ენის კომპეტენცია საექთნო განათლებლის პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელთაც არ უდასტურდება ქართული ენის კომპეტენცია საექთნო განათლებლის პროგრამა იწყება ქართული ენის მოდულებით და ითვალისწინებს 210 კრედიტის რაოდენობის ქართული ენის, ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ქართული ენის კრედიტების რაოდენობა შეადგენს 30კრედიტს , ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ქართული ენის მოდულები A2 და B1 - 30 კრედიტი
- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის არანაკლებ სამი წლისა, სრული დატვირთვით[1]. პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს, [1]სრული დავტვირთვა პრაქტიკული და კლინიკური სწავლებისას კვირაში არანაკლებ 35 საათისა.

	საექთნო განათლება		
ზოგადი მოდულები			
№	**მოდულის დასახელება**		**კრედიტი**
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში		2

2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში		2
3	უცხოური ენა - საექთნო საქმეში		5
	ჯამი		**9**
თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები		**დაშვების წინაპირობა**	
№	**მოდულის დასახელება**		**კრედიტი**
1	ჰისტოლოგია		2
2	ბიოქიმია		4
3	მიკრობიოლოგია		4
4	ანატომია-ფიზიოლოგია	ჰისტოლოგია	10
5	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია	4
	ჯამი		**24**
	თეორიული სწავლება საექთნო საქმე		
№	**მოდულის დასახელება**		**კრედიტი**
1	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში		4
2	ფარმაკოლოგია	ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	5
3	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	ანატომია-ფიზიოლოგია	2
4	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია	2
5	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია	3

6	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	6
7	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა	7
8	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	3
9	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	5
10	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა	2
11	პედიატრია და მოზარდები	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა	3
12	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	ჰისტოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია), დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	3
	ჯამი		**45**

თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	1

2	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში		3
3	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები		2
	ჯამი		**6**

პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება			
№	**მოდულის დასახელება**		**კრედიტი**
1	ავადმყოფის მოვლა		4
2	შინმოვლა		2
	ჯამი		**6**

პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება			
№	**მოდულის დასახელება**		**კრედიტი**
1	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა		11
2	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა		6
3	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა		11
4	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა		6
5	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა		10
6	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა		5
7	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა		12
8	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა		4
9	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა		6

10	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა		3
11	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები		7
12	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები		3
13	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია		3
14	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია		3
	ჯამი		**90**

8. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე შპს მარნეულის კოლეჯის დებულებით დადგენილი წესების დაცვით მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, რეკომენდაციის სახით, მოცემულია მოდულებში.

10. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტმა უნდა დააგროვოს ამ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. **საექთნო საქმეში** კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ **180 კრედიტი. ქართული ენის** მოდულების ჩათვლით კი - 210 კრედიტი.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ამავე ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული წესით.

12. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები[2]

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებსა და პაციენტებსა ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნისა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება-სწავლა საავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში ხორციელდება საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების[3] ზედამხედველობის ქვეშ.

კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბაკალავრის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილებისა (*II. პროფესიული საქმიანობის კომპეტენციის გრაფაში მითითებული რომელიმე ან რამდენიმე მიმართულებით),* მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6-თვიანი გამოცდილება
უცხოური ენები (მინიმალური მოთხოვნა)	ინგლისური A1
კომპიუტერული უნარები	საოფისე პროგრამების კარგი ფლობა

პროფესიული საქმიანობის კომპეტენცია:

1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
4. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
5. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
6. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. შინმოვლის მომსახურება

კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირება

კლინიკური მოდულების გავლის უზრუნველყოფის მიზნით, შპს მარნეულის კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს/ებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი, პროფესიული სტუდენტების/სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პერსონალის, მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და კოლეჯის ანგარიშგებას/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას.

კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა

კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების/სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7. პროფესიული სტუდენტები/სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დარეგულირებულია კოლეჯსა და კლინიკის/პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

13. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე[4i]

14. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ";
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საექთნო განათლება / Nursing 09109-3

პროფესიული სტანდარტები:

- პრაქტიკოსი ექთანი
- ექთნის თანაშემწე

დარგის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები/სტანდარტები:

- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005/36/EC რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013/55/EU რეგულაცია

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატოტი (ISCED)

პროგრამის დანართები

დანართი N 1.	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში
დანართი N 2.	კომუნიკაცია საექთნო საქმეში
დანართი N 3.	უცხოური ენა - საექთნო საქმეში

დანართი N 4.	ჰისტოლოგია
დანართი N 5.	ბიოქიმია
დანართი N 6.	მიკრობიოლოგია
დანართი N 7.	ანატომია-ფიზიოლოგია
დანართი N 8.	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)
დანართი N 9.	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში
დანართი N 10.	ფარმაკოლოგია
დანართი N 11.	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში
დანართი N 12.	ინფექციის კონტროლის საფუძვლები
დანართი N 13.	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები
დანართი N 14.	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
დანართი N 15.	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
დანართი N 16.	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
დანართი N 17.	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია
დანართი N 18.	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
დანართი N 19.	პედიატრია და მოზარდები
დანართი N 20.	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
დანართი N 21.	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში
დანართი N 22.	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში
დანართი N 23.	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები
დანართი N 24.	ავადმყოფის მოვლა
დანართი N 25.	შინმოვლა
დანართი N 26.	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 27.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 28.	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 29.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 30.	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა

დანართი N 31.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 32.	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 33.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 34.	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 35.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
დანართი N 36.	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები
დანართი N 37.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
დანართი N 38.	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
დანართი N 39.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
დანართი N 40.	სასწავლო გეგმა
დანართი N 41.	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი
დანართი N 42.	მატერიალური აღჭურვილობა
დანართი N 43.	ქართული ენის მოდული A2
დანართი N 44.	ქართული ენა B1